

შპს „ნათს ინჟორფორეითიდ“

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

31 დეკემბერი, 2024 წელი

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა.....	i- iii
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში.....	4
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიში	6
ფულადი ნაკადების ანგარიში.....	7
ფინანსური ანგარიშის განმარტებითი შენიშვნები	8-39

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ნათს ინქორპორეტიდი“-ის მფლობელებს და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ნათს ინქორპორეტიდი“-ს (შემდგომში - „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესსს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2024 წლის მმართველობის ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე (სხვა ინფორმაციაზე).

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ცაქტის ინფორმირება.

ჩვენ შევასრულეთ გარკვეული პროცედურები, რაც საჭიროა მმართველობის ანგარიშის შესაბამისობის შესახებ დასკვნის შესადგენად, „საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტთან დაკავშირებით და ანგარიში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოვეცით ცალკე წერილით, რომელიც თარიღდება 2025 წლის 30 აპრილით.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დაასკინით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ვაფასებთ ჩვენს აუდიტორის

დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

30 აპრილი 2025

შპს არესემ საქართველო

გარიგების პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე (SARAS-A-129107)

RSM Georg. 4



შპს „ნათს ინჟორფორეითი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	98,322,168	87,019,091
გაცემული სესხები	5	3,694,376	1,932,977
არამატერიალური აქტივები		82,674	33,250
სულ გრძელვადიანი აქტივები		102,099,218	88,985,318
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	13,850,999	4,897,580
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	3,143,499	1,114,946
გადახდილი ავანსები	4	219,458	682,175
ფული და ფულის ექვივალენტი	8	1,567,561	100,869
სულ მიმდინარე აქტივები		18,781,517	6,795,570
სულ აქტივები		120,880,735	95,780,888
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	50,402,724	43,861,565
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		(19,260,154)	(15,890,591)
სულ კაპიტალი		31,142,570	27,970,974
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	9	67,835,652	64,330,194
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	11	2,941,624	802,220
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		70,777,276	65,132,414
მიმდინარე ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	9	14,184,900	791,740
საიჯარო ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი	11	874,327	230,907
გადასახდელი პროცენტები	9	447,693	391,438
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	2,953,987	713,627
საგადასახადო ვალდებულებები		499,982	549,788
სულ მიმდინარე ვალდებულებები		18,960,889	2,677,500
სულ ვალდებულებები		89,738,165	67,809,914
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		120,880,735	95,780,888


გენერალური დირექტორი

თორნიკე ლათათია



ფინანსური მენეჯერი

ლიკა ტულუში



შპს „ნათს ინჟინერული“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	13	15,329,158 +	4,028,021
რეალიზებული პროდუქციის	14	(14,917,143) +	(4,124,604)
თვითღირებულება			
მთლიანი მოგება		412,015 +	(96,583)
სამართლიანი ღირებულების კორექტირება ბიოლოგიურ			
აქტივზე და მოსავლის მიღებასთან დაკავშირებული			
ხარჯები			
ბიოლოგიური აქტივების სამართლიანი	15	16,543,467 -	7,562,741
ღირებულებით კორექტირება			
მოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები	15	(7,305,438) +	(4,871,520)
საოპერაციო მოგება		9,650,044 +	2,594,638
არასაოპერაციო და სხვა შემოსავლები (ხარჯები)			
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(2,316,571) +	(2,007,684)
საპროცენტო ხარჯები	18	(7,508,452) +	(5,248,640)
ცვეთის ხარჯი	3	(4,289,304) +	(3,270,847)
საკუროსო მოგება/(ზარალი)	19	596,379 +	(2,149,564)
საპროცენტო შემოსავალი	5	323,339 +	191,183
არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	16	175,003 +	(132,646)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(3,369,562)	(10,023,560)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა ზარალი		(3,369,562)	(10,023,560)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სხვა სრული შემოსავალი		(3,369,562)	(10,023,560)

გენერალური დირექტორი

თორნიკე ლათათია



ფინანსური მენეჯერი

ლიკა ტულუში



შპს „ნათს ინჟინერული“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

1 იანვარი 2023		14,882,269	(5,867,031)	9,015,238
წლის მოგება/(ზარალი)		-	(10,023,560)	(10,023,560)
კაპიტალში შეტანა	12	28,979,296	-	28,979,296
31 დეკემბერი 2023		43,861,565	(15,890,591)	27,970,974
წლის მოგება/(ზარალი)		-	(3,369,562)	(3,369,562)
კაპიტალში შეტანა	12	6,541,158	-	6,541,158
31 დეკემბერი 2024		50,402,723	(19,260,153)	31,142,570

გენერალური დირექტორი

თორნიკე ლათათია



ფინანსური მენეჯერი

ლიკა ტულუში



შპს „ნატოს ინჟორფორეითიდე“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქართული ლარი	დანართი	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის ზარალი		(3,369,562)	(10,023,560)
კორექტირებები:			
ძირითადი საშუალების ცვეთა	3	4,289,260	3,270,847
ფინანსური ხარჯი	18	8,063,558	5,233,415
საექვო ვალდებულებების რეზერვი		163,785	-
წმინდა შემოსავალი ძირითადი საშუალების გაყიდვიდან		264,462	-
ძირითადი საშუალების ჩამოწერა		(529,070)	-
საკურსო სხვაობა	19	(596,379)	2,160,248
კაპიტალის ცვლილებამდე საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი		8,286,054	640,950
ზრდა/(შემცირება) დებიტორულ დავალიანებებში	7	(2,242,733)	(736,570)
ზრდა/(შემცირება) მარაგებში	6	(8,953,419)	(8,055,675)
ზრდა/(შემცირება) არამატერიალური აქტივები		(49,424)	(33,250)
ზრდა/(შემცირება) კრედიტორულ დავალიანებებში	10	2,248,398	(84,855)
ზრდა/(შემცირება) საგადასახადო ვალდებულებებში		(49,806)	270,093
ზრდა/(შემცირება) გადახდილ ავანსებში	4	462,717	95,348
ზრდა/(შემცირება) საიჯარო ვალდებულებებში		3,238,541	158,033
გადახდილი პროცენტი		(8,833,309)	(5,424,688)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		(5,892,981)	(13,170,614)
ძირითადი საშუალებების შეძენა	3	(9,690,235)	(32,742,182)
ძირითადი საშუალების გასვლა		793,532	-
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი		(8,896,703)	(32,742,182)
მიღებული სესხების ზრდა/(შემცირება)	9	17,810,414	37,331,960
საწესდებო კაპიტალის ზრდა/(შემცირება)		6,541,158	9,303,365
გაცემული სესხები		(1,761,399)	(787,619)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		22,590,173	45,847,706
არა ფულადი ცვლილებების ეფექტი		(6,431,024)	-
საკურსო ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		97,227 +	113,115
ფულისა და ფულადი ექვივალენტების წმინდა ზრდა		1,369,465	(65,090)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	8	100,869	52,844
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	8	1,567,561 +	100,869

გენერალური დირექტორი

თორნიკე ლათათია



ფინანსური მენეჯერი

ლიკა ტულუში



შპს „ნათს ინჟორფორეითი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	98,322,168	87,019,091
გაცემული სესხები	5	3,694,376	1,932,977
არამატერიალური აქტივები		82,674	33,250
სულ გრძელვადიანი აქტივები		102,099,218	88,985,318
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	13,850,999	4,897,580
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	3,143,499	1,114,946
გადახდილი ავანსები	4	219,458	682,175
ფული და ფულის ექვივალენტი	8	1,567,561	100,869
სულ მიმდინარე აქტივები		18,781,517	6,795,570
სულ აქტივები		120,880,735	95,780,888
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	50,402,724	43,861,565
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		(19,260,154)	(15,890,591)
სულ კაპიტალი		31,142,570	27,970,974
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	9	67,835,652	64,330,194
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	11	2,941,624	802,220
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		70,777,276	65,132,414
მიმდინარე ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	9	14,184,900	791,740
საიჯარო ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი	11	874,327	230,907
გადასახდელი პროცენტები	9	447,693	391,438
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	2,953,987	713,627
საგადასახადო ვალდებულებები		499,982	549,788
სულ მიმდინარე ვალდებულებები		18,960,889	2,677,500
სულ ვალდებულებები		89,738,165	67,809,914
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		120,880,735	95,780,888

გენერალური დირექტორი

თორნიკე ლათათია

ფინანსური მენეჯერი

ლიკა ტულუში

შპს „ნათს ინჟინერული“
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	13	15,329,158	4,028,021
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	(14,917,143)	(4,124,604)
მთლიანი მოგება		412,015	(96,583)
სამართლიანი ღირებულების კორექტირება ბიოლოგიურ აქტივზე და მოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები			
ბიოლოგიური აქტივების სამართლიანი ღირებულებით კორექტირება	15	16,543,467	7,562,741
მოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები	15	(7,305,438)	(4,871,520)
არასაოპერაციო და სხვა შემოსავლები (ხარჯები)			
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(2,316,571)	(2,007,684)
საპროცენტო ხარჯები	18	(7,508,452)	(5,248,640)
ცვეთის ხარჯი	3	(4,289,304)	(3,270,847)
საკუროსო მოგება/(ზარალი)	19	596,379	(2,149,564)
საპროცენტო შემოსავალი	5	323,339	191,183
არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	16	175,003	(132,646)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(3,369,562)	(10,023,560)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა ზარალი		(3,369,562)	(10,023,560)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სხვა სრული შემოსავალი		(3,369,562)	(10,023,560)

გენერალური დირექტორი	თორნიკე ლათათია	_____
ფინანსური მენეჯერი	ლიკა ტულუში	_____

შპს „ნათს ინჟორფორეითიდ“
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

1 იანვარი 2023		14,882,269	(5,867,031)	9,015,238
წლის მოგება/(ზარალი)		-	(10,023,560)	(10,023,560)
კაპიტალში შეტანა	12	28,979,296	-	28,979,296
31 დეკემბერი 2023		43,861,565	(15,890,591)	27,970,974
წლის მოგება/(ზარალი)		-	(3,369,562)	(3,369,562)
კაპიტალში შეტანა	12	6,541,158	-	6,541,158
31 დეკემბერი 2024		50,402,723	(19,260,153)	31,142,570

გენერალური დირექტორი	თორნიკე ლათათია	_____
ფინანსური მენეჯერი	ლიკა ტულუში	_____

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქართული ლარი	დანართი	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის ზარალი		(3,369,562)	(10,023,560)
კორექტირებები:			
ძირითადი საშუალების ცვეთა	3	4,289,260	3,270,847
ფინანსური ხარჯი	18	8,063,558	5,233,415
საექვო ვალდებულებების რეზერვი		163,785	-
წმინდა შემოსავალი ძირითადი საშუალების გაყიდვიდან		264,462	-
ძირითადი საშუალების ჩამოწერა		(529,070)	-
საკურსო სხვაობა	19	(596,379)	2,160,248
კაპიტალის ცვლილებამდე საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი		8,286,054	640,950
ზრდა/(შემცირება) დებიტორულ დავალიანებებში	7	(2,242,733)	(736,570)
ზრდა/(შემცირება) მარაგებში	6	(8,953,419)	(8,055,675)
ზრდა/(შემცირება) არამატერიალური აქტივები		(49,424)	(33,250)
ზრდა/(შემცირება) კრედიტორულ დავალიანებებში	10	2,248,398	(84,855)
ზრდა/(შემცირება) საგადასახადო ვალდებულებებში		(49,806)	270,093
ზრდა/(შემცირება) გადახდილ ავანსებში	4	462,717	95,348
ზრდა/(შემცირება) საიჯარო ვალდებულებებში		3,238,541	158,033
გადახდილი პროცენტი		(8,833,309)	(5,424,688)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		(5,892,981)	(13,170,614)
ძირითადი საშუალებების შეძენა	3	(9,690,235)	(32,742,182)
ძირითადი საშუალების გასვლა		793,532	-
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი		(8,896,703)	(32,742,182)
მიღებული სესხების ზრდა/(შემცირება)	9	17,810,414	37,331,960
საწესდებო კაპიტალის ზრდა/(შემცირება)		6,541,158	9,303,365
გაცემული სესხები		(1,761,399)	(787,619)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		22,590,173	45,847,706
არა ფულადი ცვლილებების ეფექტი		(6,431,024)	-
საკურსო ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		97,227	113,115
ფულისა და ფულადი ექვივალენტების წმინდა ზრდა		1,369,465	(65,090)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	8	100,869	52,844
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	8	1,567,561	100,869

გენერალური დირექტორი

ფინანსური მენეჯერი ლიკა ტულუში

1. ზოგადი ინფორმაცია

(ა) ორგანიზაცია და საქმიანობა

შპს“ ნათს ინჟორფორეითიდ“ არის 2020 წლის 22 ივლისს საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული სუბიექტი, სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში (საიდენტიფიკაციო კოდი 405404922). კომპანიის ძირითადი ბიზნეს საქმიანობა არის შერეული სოფლის მეურნეობა, კერძოდ -მრავალწლიანი კულტურების (თხილი, ნუში, კაკალი) გაშენება.

შპს ნათს ინჟორფორეითიდ-ის საქმიანობის ადგილებია: აღმოსავლეთ საქართველოში - გარდაბანი, სოფელი ახალსოფელი და დასავლეთ საქართველოში - აბაშა, მარტვილი და სენაკის რაიონები.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, გიორგი მიროტაძის ქ., N 1ა, ბინა 43.

კომპანიის წილები მფლობელებს შორის გადანაწილებულია შემდეგნაირად:

	2024	2023
გურამ შალუტაშვილი	52%	52%
სტივენ პოდოლსკი	33%	33%
ეკატერინე შველიძე	15%	15%

(ბ) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, კომპანია დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც ხასიათდება განვითარებადი ბაზრის მახასიათებლებით. იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, მაგრამ ექვემდებარებიან სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რომლებიც, სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, დამატებით გამოწვევებს უქმნიან საქართველოში მოქმედ იურიდიულ პირებს. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის შეფასებას, საქართველოს ბიზნეს გარემოს ზეგავლენის შესახებ, კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამებამომზადების საფუძველი

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის

ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არა საბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით.
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1 -ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით)

შპს „ნათს ინჟორფორეითი“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს და ამავე ვალუტაში არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვაგვარად არის მითითებული.

2.1 ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

კომპანიამ დანერგა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული ყველა ახალი ან შეცვლილი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომელიც სავალდებულოა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდისთვის. ნებისმიერი ახალი ან შეცვლილი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტი ან ინტერპრეტაცია, რომელიც ჯერ არ არის სავალდებულო, არ იქნა დროზე ადრე დანერგილი.

2.2. სააღრიცხვო პოლიტიკები

(გ) ძირითადი საშუალებები

i. აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები, გარდა მიწისა, ფასდება თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი გაუფასურების ზარალი. მიწა ფასდება თვითღირებულებით, ყოველგვარი დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ღირებულება მოიცავს ხარჯებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის შეძენას. შექმნილი აქტივების ღირებულება მოიცავს მასალების და პირდაპირი შრომის ღირებულებას, ნებისმიერ სხვა ხარჯს, რომელიც პირდაპირ კავშირშია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში

მოყვანასთან დანიშნულებისამებრ, ნივთების დემონტაჟისა და იმ ადგილის აღდგენის ხარჯებს, სადაც ისინი მდებარეობს. განლაგებული და სესხის კაპიტალიზაციას. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც მიეკუთვნება აღჭურვილობას კაპიტალიზდება, როგორც ამ აღჭურვილობის ნაწილი.

თუ ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვან ნაწილებს აქვთ განსხვავებული სასარგებლო ვადა, ისინი აღრიცხება ძირითადი საშუალებების ცალკეულ ნაწილებად (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებას ან ზარალში.

ii. შემდგომი ხარჯები

ძირითადი საშუალებების ერთეულის ჩანაცვლების ღირებულება აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებით, თუ იგი უზრუნველყოფს მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვის ყოველდღიური ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგება ან ზარალში.

შპს „ნათს ინჟორფორეითი“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

iii. ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზადყოფნაში მოსვლის დღიდან. რაც შეეხება კომპანიის მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენებისთვის მზაობის დღიდან.

ცვეთა აისახება მოგება ან ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში,

ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის ან იჯარის ხანგრძლივობის მიხედვით უმცირესით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გონივრულ ფარგლებში სარწმუნოა, რომ საკუთრების უფლების მოპოვება კომპანიის მიერ მოხდება იჯარით აღებულ აქტივზე. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ნებისმიერი მოგება ან ზარალი არამატერიალური აქტივების გასხვისებიდან განისაზღვრება მიღებული შემოსავლისა და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულების შედარებით და აღიარებულია მოგება/ზარალში სხვა შემოსავალში/სხვა ზარალებში.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადარის პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

ძირითადი საშუალების ჯგუფები	სასიცოცხლო ვადა
თხილის ნერგები	19 წელი
ნუშის ნერგები	32 წელი
კაკლის ნერგები	32 წელი
შენობები	12-20 წელი
მანქანა-დანადგარები	10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები, კომპიუტერები და სხვა	10 წელი
მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობა	არაცვეთადი

თხილის ნერგების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 29 წელი, რადგან კომპანიამ იყიდა 10 წლიანი ნერგები, მისი დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადა არის 19 წელი.

კაკლის ნერგების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 35 წელი, რადგან კომპანიამ იყიდა 3 წლიანი ნერგები, მისი დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადა არის 32 წელი.

ნუშის ნერგების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 35 წელი, რადგან კომპანიამ იყიდა 3 წლიანი ნერგები, მისი დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადა არის 32 წელი.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

დ) ბიოლოგიური აქტივები და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია

კომპანიის ბიოლოგიური აქტივები შედგება ნაყოფის მომცემი მცენარეებისგან - ხეხილისგან. ნაყოფის მომცემი მცენარეები კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ნაყოფის მომცემი კულტურა განიმარტება, როგორც ცოცხალი მცენარე, რომელიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისთვის და მოსალოდნელია ნაყოფის მიღება ერთზე მეტი პერიოდის განმავლობაში. მცენარეები აღირიცხება როგორც ძირითადი საშუალებები. მოსალოდნელია, რომ თხილის ხეები სოფლის მეურნეობის პროდუქტს აწარმოებენ დარგვიდან სამი წლის შემდეგ, მაგრამ მაქსიმალურ მოსავალს მიაღწევენ

შპს „ნათს ინჟორფორეითი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

დარგვიდან შვიდი წლის შემდეგ. ამის შემდეგ, ხარჯები არ კაპიტალიზდება, თუ ისინი არ გააუმჯობესებენ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. თხილის ნერგებს ამორტიზაცია ერიცხება 19 წლის განმავლობაში წრფივი მეთოდით.

კომპანიის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ძირითადად შედგება თხილის, ნუშისა და კაკლის ნერგებისგან. მოსავლის აღებისას სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია აღირიცხება მარაგებში და თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით, მოსავლის აღების დროს გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით. ამ ნერგების სეზონური ბუნების გამო კომპანიას საანგარიშო პერიოდის ბოლოს არ აქვს გასაყიდი თხილი.

გაყიდვის დანახარჯები მოიცავს ყველა ხარჯს, რომელიც საჭირო იქნება პროდუქციის გასაყიდად. მთლიანი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ბიოლოგიური აქტივების თავდაპირველი აღიარებიდან და ბიოლოგიური აქტივების სამართლიანი ღირებულების-გაყიდვის ღირებულების ცვლილებით, შედის ცალკე აბზაცში „მოგება/(ზარალი) ბიოლოგიური აქტივებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადაფასებიდან“.

ბაღის ღირებულება მოიცავს თხილის, ნუშის და კაკლის დარგვისა და განვითარების ხარჯებს. ახალი ნერგების დარგვისა და განვითარების ხარჯები კაპიტალიზდება მიწის გაწმენდის სტადიიდან სიმწიფის ეტაპამდე. მოუმწიფებელი ბაღის ხარჯები ძირითადად შედგება მიწის გაწმენდის, დარგვის, განაყოფიერებისა და ბაღის შენარჩუნების დაგროვილი ხარჯებისგან და სხვა არაპირდაპირი ზედნადები ხარჯებისგან ხეების მოსავლის მიღებამდე

1. თხილის ბაღი ზრდასრულად ითვლება დარგვიდან 7 წლის განმავლობაში და წლიურად მიიღება საშუალოდ 1,2-1,5 ტონა ერთ ჰექტარზე. არაზრდასრული ხეები არ არის ამორტიზებული. წლის განმავლობაში კომპანიამ მოახდინა 3,967,905 ლარის კაპიტალიზაცია (2023: 4,420,955 ლარი) თხილის ხეების განვითარებასთან დაკავშირებით.

2. კაკლის პლანტაციები ზრდასრულად ითვლება დარგვიდან 7 წლის განმავლობაში და გამოიმუშავენ წლიურად საშუალოდ 6-7 ტონას ერთ ჰექტარზე. არაზრდასრული ბაღები არ არის ამორტიზებული. წლის განმავლობაში კომპანიამ მოახდინა 0 ლარის კაპიტალიზაცია (2023: 0 ლარი) კაკლის მცენარეების/ხეების განვითარებასთან დაკავშირებით, რაც

გულისხმობს, რომ ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია, და ამ ხეები/მცენარეებისგან ჯერ კიდევ არ მიიღება ნაყოფი.

3. ნუშის ბაღი ზრდასრულად ითვლება დარგვიდან 8 წლის განმავლობაში და გამოიმუშავენ წლიურად საშუალოდ 4-5 ტონას ერთ ჰექტარზე. არაზრდასრული ბაღი არ არის ამორტიზებული. წლის განმავლობაში კომპანიამ მოახდინა 2,463,312 ლარის კაპიტალიზაცია (2023: 2,231,023 ლარი) ნუშის მცენარეების/ხეების განვითარებასთან დაკავშირებით, რომლებიც განსაზღვრულია, რაც გულისხმობს, რომ ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია, და ამ ხეები/მცენარეებისგან ჯერ კიდევ არ მიიღება ნაყოფი.

(ე) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

შეფასების მეთოდი

ამორტიზირებული ღირებულება და ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება არის ღირებულება, რომლითაც შეფასდება ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარების დროს, მინუს სესხის ძირი თანხის დასაფარად გადასახდელი თანხები, პლუს ან მინუს დაგროვილი ამორტიზაცია, თავდაპირველ ღირებულებასა და

შპს „ნათს ინჟორფორეითი“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

დასაფარ ღირებულებას შორის სხვაობის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი და მინუს (პირდაპირ, ან რეზერვის ანგარიშის გამოყენებით) გაუფასურების ზარალი, ან თანხის ამოუღებლობით (უიმედო ვალით) წარმოქმნილი ნებისმიერი დანაკარგები.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი შეფასებული ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ნეტო საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშების დროს, საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტებიდან მისაღები ფულადი ნაკადები უნდა შეაფასოს ყველა სახელშეკრულებო პირობის გათვალისწინებით, მაგრამ არ უნდა გაითვალისწინოს მომავალი საკრედიტო ზარალი. გაანგარიშება მოიცავს ყველა საზღაურსა და გადახდილ ან მიღებულ ერთეულს (აქტივის ნომინალური ღირებულების ცვლილების ყოველი ერთეული) ხელშეკრულების მხარეებს შორის, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, აგრეთვე გარიგების დანახარჯებსა და ყველა სხვა პრემიასა და ფასდათმობას. არსებობს ვარაუდი, რომ მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტების ჯგუფის მოსალოდნელი ვადა და ფულადი ნაკადები შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

როდესაც კომპანიის მიერ ხდება მომავალი ფულადი ნაკადების გადახედვა შესაბამისი ფინანსური აქტივი ან ვალდებულების კორექტირდება რათა აისახოს ცვლილებები. კომპანიის მიერ ნებისმიერი ცვლილება აღიარებულია მოგება-ზარალში.

საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო ამონაგები საწარმომ უნდა გამოითვალოს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, კერძოდ, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

ა) შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივები. საწარმომ ამგვარი ფინანსური აქტივებისთვის, თავდაპირველი აღიარებისას უნდა განსაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი და გამოიყენოს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში

ბ) ფინანსური აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენს შეძენილ ან შექმნილ გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებს, არამედ შემდგომში გახდა საკრედიტო რისკის გავლენით გაუფასურებული ფინანსური აქტივები. ამგვარი ფინანსური აქტივების შემთხვევაში, საწარმომ, მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა გამოიყენოს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში.

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ბაზრის სტანდარტული პირობებით ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვისას ფინანსური აქტივების აღიარება და აღიარების შეწყვეტა უნდა მოხდეს გარიგების თარიღით ან ანგარიშსწორების თარიღით, შესაბამისად.

თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია აღრიცხავს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას მისი რეალური ღირებულებით, პლუს ან მინუს, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების შემთხვევაში, რომელიც არ არის სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში, ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც არის დამატებითი და პირდაპირ მიეკუთვნება შეძენის ხარჯებს ან გამოშვების საკომისიოს. ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანად აღრიცხული ტრანზაქციის ხარჯები

შპს „ნათს ინჟორფორეითი“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ღირებულება აღიარდება ხარჯად მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

თავდაპირველი აღიარებისთანავე, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი (ECL) აღიარებულია ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის და შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავალში ასახვით, როგორც აღწერილია შენიშვნა 2.1-ში, რაც იწვევს სააღრიცხვო ზარალის აღიარებას მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივი ახლად წარმოშობილია.

თუ თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივის და ვალდებულების რეალური ღირებულება განსხვავდება გარიგების ღირებულებისაგან ორგანიზაცია ფინანსური ინსტრუმენტებს ამ თარიღისთვის აღრიცხავს შემდეგნაირად:

ა) თუ რეალური ღირებულება დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების აქტიური ბაზრის კოტირებული ფასით (ე.ი პირველი დონის ამოსავალი მონაცემი), ან ეყრდნობა შეფასების ისეთ მეთოდს, რომელშიც გამოიყენება მხოლოდ ემპირიული ბაზრების მონაცემები. ორგანიზაცია თავდაპირველი აღიარებისას რეალურ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის სხვაობას აღიარებს როგორც შემოსულობა ან ზარალი

ბ) ყველა სხვა შემთხვევაში რეალური ღირებულება კორექტირდება თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრულ რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის სხვაობის თანხის გადავადების გზით.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, კომპანია გადავადებულ სხვაობას აღიარებს როგორც შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ იმ ოდენობით, რომელიც წარმოიქმნება ისეთი ფაქტორის ცვლილებით (დროის ფაქტორის ჩათვლით), რომელსაც ბაზრის მონაწილეები განიხილავდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას.

ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

2020 წლის 1 იანვრიდან კომპანია იყენებს ფასს 9-ს და ფინანსურ აქტივებს აფასებს მომედევნო სამი კატეგორიიდან ერთ-ერთის მიხედვით:

სამართლიანი ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით;

სამართლიანი ღირებულება სხვა სრული შემოსავალში ასახვით;

ამორტიზირებული ღირებულებით.

წილობრივი ინსტრუმენტის კლასიფიკაცია მოცემულია ქვემოთ:

სავალო ინსტრუმენტები

სავალო ინსტრუმენტები არის ყველა ის ინსტრუმენტი რომელიც შეესაბამება განმარტებას რომ ინსტრუმენტის გამომშვების პერსპექტივიდან იგი წარმოადგენს ფინანსურ ვალდებულებას, სავალო ინსტრუმენტებია სესხები, სახელმწიფო და კორპორატიული ბონდები, კლიენტისგან შეძენილი სავაჭრო დებიტორული მოთხოვნები.

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება სავალო ინსტრუმენტების დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

ა) ორგანიზაციის ბიზნესმოდელი, რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივების მართვისთვის

ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები

აღნიშნულ ფაქტორებზე დაყრდნობით კომპანია აქდენს სავალო ინსტრუმენტების კლასიფიცირებას ერთ-ერთში შემდგომი სამი საზომი კატეგორიიდან:

- ამორტიზირებული ღირებულება: ორგანიზაცია ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას. აქტივის ღირებულება კორექტირდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხების აღიარებით. საპროცენტო შემოსავალი აღნიშნული აქტივებისთვის კლასიფიცირდება როგორც „საპროცენტო და მსგავსი ტიპის შემოსავალი“ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

- რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით: ფინანსური აქტივი რომელსაც ორგანიზაცია ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვა და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას აღიარებულია როგორც რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ღირებულებაში მოძრაობები აისახება სხვა სრულ შემოსავალში გარდა გაუფასურების მოგებისა და ზარალის აღიარებისა, საპროცენტო შემოსავლისა და კურსთაშორის სხვაობის ეფექტისა რომელიც აღიარდება მოგება-ზარალში. როდესაც ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება კუმულატიური მოგება ან ზარალი რომლის ასახვაც მოხდა სხვა სრულ შემოსავალში რეკლასიფიცირდება ექვითიდან მოგება-ზარალში და აღიარდება „წმინდა საინვესტიციო შემოსავალი“. საპროცენტო შემოსავალი ფინანსური აქტივისგან კლასიფიცირდება როგორც საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

- რეალური ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით: აქტივი რომელიც შეფასებული არ არის ამორტიზირებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით აღიარდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში. მოგება ან ზარალი სავალო ინვესტიციიდან, რომელიც შემდგომში ფასდება როგორც რეალური ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით და არ წარმოადგენს ჰეჯირების ურთიერთობის ნაწილს, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში და წარმოდგენილია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წმინდა სავაჭრო შემოსავლის ფარგლებში იმ პერიოდში, როდესაც ის წარმოიქმნება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის წარმოიქმნება სასესხო ინსტრუმენტებიდან, რომლებიც განისაზღვრა სამართლიანი ღირებულებით ან რომლებიც არ იწახება სავაჭროდ, ამ შემთხვევაში ისინი ცალკე წარმოდგენილია „წმინდა საინვესტიციო შემოსავალში“. ამ ფინანსური აქტივებიდან საპროცენტო შემოსავალი შედის „საპროცენტო შემოსავალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ბიზნეს მოდელი: ორგანიზაციის ბიზნესმოდელი გვიჩვენებს, როგორ მართავს საწარმო თავის ფინანსურ აქტივებს, ფულადი ნაკადების გენერირების მიზნით, ანუ ორგანიზაციის ბიზნესმოდელით განისაზღვრება, რა სახით წარმოიქმნება ფულადი ნაკადები: სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ფინანსური აქტივების გაყიდვით, თუ ერთობლივად ორივე გზით. თუ არცერთი აღნიშნული მოდელი არ არის შესაბამისობაში ასეთ შემთხვევაში ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება როგორც სხვა ბიზნეს მოდელი და იზომება სამართლიანი ღირებულებით, ის მოიცავს წარსულ გამოცდილებას იმის შესახებ, თუროგორ შეგროვდა ფულადი ნაკადები ამ აქტივებისთვის, როგორ ფასდება აქტივის ეფექტურობა და ეცნობება ძირითად მენეჯმენტ პერსონალს, როგორ ხდება რისკების შეფასება და მართვა და როგორ ხდება მენეჯერების ანაზღაურება.

შპს „ნათის ინჟორფორეითი“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

SPPI ტესტი: ბიზნეს მოდელის იმ კატეგორიით სადაც აქტივების ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და გაყიდვა, კომპანია აფასებს, ფინანსური ინსტრუმენტებიდან მისაღები ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა ძირის და პროცენტის გადახდას (SPPI ტესტი). შეფასებისას, კომპანია განსაზღვრავს, შეიცავს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები თანმიმდევრულ გადახდებს საკრედიტო შეთანხმების მიხედვით. მაგალითად პროცენტი მოიცავს თუ არა ანაზღაურებას ფულის დროითი ღირებულების, გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკისა და გასესხებასთან დაკავშირებული სხვა ტიპური რისკებისა და დანახარჯების სანაცვლოდ, ასევე მოგების მარჟას.

თუ სახელშეკრულები პირობები მნიშვნელოვნად ზრდის რისკს ან არასტაბილურობას რაც არ არის შესაბამისობაში სესხის ძირითად ხელშეკრულებასთან, დაკავშირებული ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგება ან ზარალში ასახვით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაცია ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს, იგი ახდენს ყველა შესაბამისი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაციას.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს კომპანიის აქტივებში ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. კომპანიის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ შემოსავლებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით. წილობრივი ინსტრუმენტების მაგალითია ჩვეულებრივი აქციები.

გაუფასურება

კომპანია წინდახედულობის პრინციპიდან გამომდინარე აფასებს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგებს (ECL), იმ ტიპის ფინანსურ აქტივებზე რომლებიც აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავალში ასახვით.

ორგანიზაცია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალს აფასებს ისეთი მეთოდით რომელიც ასახავს:

- მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით;
- ფულის დროით ღირებულებას; და
- გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევების გარეშე.

დებიტორულ დავალიანებებს, როლებიც კომპანიის შეფასებით არ უფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია აუფასურებს ჯგუფურად, წინა წლების გადახდების გათვალისწინებით.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით და შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, აკლდება მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი. სავაჭრო დებიტორული დავალიანება ძირითადად გადასახდელია 30 დღის განმავლობაში ან ხდება წინასწარ გადახდა.

შპს „ნათს ინჟორფორეითი“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ალიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივების ალიარების შეწყვეტა ხდება მაშინ როდესაც ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებს მიღების სახელშეკრულებო ვადა ეწურება ან როდესაც ხდება შემდეგი ორი სიტუაციიდან ერთ-ერთი:

- 1) ორგანიზაცია გადასცემს ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებას ან
- 2) არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს და არ ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე.

ფინანსური ვალდებულებები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

როგორც მიმდინარე, ისე წინა პერიოდში, ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებული და შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, გარდა:

ა) ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც აისახება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში. ასეთი ვალდებულებები, მათ შორის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, შემდგომში უნდა შეფასდეს ერთეულის მიერ სამართლიანი ღირებულებით;

ბ) ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივის გადაცემა არ აკმაყოფილებს ალიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, ან როდესაც გამოიყენება აქტივების შენარჩუნების მიდგომა;

გ) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება.

წარმოდგენილ პერიოდებში კომპანიას არ გააჩნია სამართლიანი ღირებულებით მოგება/ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში ასახული ფინანსური ვალდებულებები.

ალიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილი) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს, როდესაც ის შესრულდება - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა. არსებითად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტის გაცვლა არსებულ გამსესხებელსა და მსესხებელს შორის განხილულ უნდა იქნეს, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები არსებითად განსხვავებულად მიიჩნევა, თუ თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით განსაზღვრული ახალი პირობების შესაბამისი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, ნებისმიერი ნეტო გადახდილი საზღაურის (გადახდილ საზღაურს მინუს მიღებული საზღაური) ჩათვლით, სულ მცირე 10 პროცენტით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებისაგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა განიხილება როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოშობილი დანახარჯები თუ საზღაური უნდა აღიარდეს, როგორც გაუქმების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა არ განიხილება, როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოქმნილი დანახარჯები თუ საზღაური აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში.

შპს „ნათს ინჟორფორეითი“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ვ) ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

(ზ) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

გამოყენებული იყო შემდეგი გაცვლითი კურსები:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი	
	დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.8068	2.9306
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.6894	2.9753

(ი) კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი. როდესაც საწესდებო კაპიტალი არაფულადი შენატანით იზრდება, აღნიშნული შენატანი აღიარდება როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი. სხვაობა არაფულადი შენატანის ნომინალურ და სამართლიან ღირებულებას შორის აღიარდება როგორც დამატებითი შენატანი კაპიტალში.

(კ) დივიდენდის განაწილება

დივიდენდების კაპიტალში აღიარება ხორციელდება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

(ლ) მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98(1)-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამოთქმების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიკურიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება. მოგების გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება მოგების განაწილებით, არ იქნება აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

(მ) ავანსები

ავანსები წარმოდგენილია გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. ავანსი კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი, როცა ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები სავარაუდოდ მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როცა ავანსი უკავშირდება აქტივს, რომელიც თვითონ კლასიფიცირებული იქნება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარების შემდეგ. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივად აღიარდება მას შემდეგ, რაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და

აშკარა გახდება რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. სხვა ავანსები ჩამოიწერება მოგებას ან ზარალში, როცა ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები იქნება მიღებული. თუ არის მინიშნება, რომ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურებები არ იქნება მიღებული, ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისად აღიარდება გაუფასურების შედეგად წარმოქმნილი ზარალი წლის მოგებას ან ზარალში.

(ნ) მარაგები

მარაგები (თხილი) წლის ბოლოს ფასდება მათი სარეალიზაციო ღირებულებით. სხვა მარაგები, როგორიცაა შხამ-ქიმიკატები, ფასდება თვითღირებულებით და ჩამოიწერება საშუალო შეწონილი მეთოდით.

(ო) შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება დარიცხვის მეთოდით

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით საწარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებებს; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს

ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე. მოსავლის აღების მომენტში კომპანია აღიარებს მარაგებს და სხვა შემოსავალს.

(პ) ხარჯები

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება.

სახელფასო ხარჯები და მათთან დაკავშირებული შენატანები. ხელფასები, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და შვებულება, პრემია და სხვა სარგებელი დარიცხულია იმ პერიოდში, როდესაც გაწულია მომსახურებას აჯგუფი არ ხარჯავს ხარჯებს პენსიის ან სხვა დასაქმების

შპს „ნათს ინჟორფორეითი“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შეღვათებთან დაკავშირებით. კომპანიას არ წარმოეჩნება რაიმე დანახარჯი მისი თანამშრომლებისთვის პენსიების ან სხვა დასაქმების შემდგომ სარგებელთან დაკავშირებით.

(ჟ) საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი აღიარებულია დარიცხვის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

2.3 ახალი ან შესწორებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები და ინტერპრეტაციები

კომპანიამ მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („IASB“) მიერ გამოცემული ყველა ახალი ან შეცვლილი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომელიც სავალდებულოა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდისთვის. კომპანიას ჯერ არ შეუფასებია ამ ახალი ან შეცვლილი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების გავლენა.

ნებისმიერი ახალი ან შეცვლილი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტი ან ინტერპრეტაცია, რომელიც ჯერ არ არის სავალდებულო, ადრე არ იქნა მიღებული.

შემდეგი ახალი და შესწორებული სტანდარტები, გამოცემული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის და გამოყენებული იქნა ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას:

1. ცვლილებები ბასს 1-ში: ვალდებულებების კლასიფიკაცია, როგორც მიმდინარე ან გრძელვადიანი

- *ძალაში შესვლის თარიღი: 2024 წლის 1 იანვარი*
- *რეზიუმე: ეს ცვლილებები განმარტავს ვალდებულებების მიმდინარე ან გრძელვადიანი კლასიფიკაციის კრიტერიუმებს, ფოკუსირებულია საანგარიშგო პერიოდის ბოლოს არსებულ უფლებებზე.*

2. ცვლილებები ფასს 16-ში: იჯარის ვალდებულება გაყიდვისას და დაბრუნების იჯარით

- *ძალაში შესვლის თარიღი: 2024 წლის 1 იანვარი*
- *შეჯამება: ცვლილებები განსაზღვრავს საიჯარო ვალდებულების შეფასებას და ნებისმიერი მოგების ან ზარალის აღიარებას გაყიდვისა და იჯარით დაბრუნების ოპერაციებში.*

2.4 სტანდარტები და ცვლილებები გაცემულია, მაგრამ ჯერ არ არის ეფექტური

შემდეგი ახალი სტანდარტები და შესწორებები გამოიცა ბასს-ის მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული წლიური პერიოდისთვის, რომელიც მთავრდება 2024 წლის 31 დეკემბერს. კომპანიას ადრე არ მიუღია ეს სტანდარტები და ამჟამად აფასებს მათ პოტენციურ გავლენას მომავალ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

1. IFRS 18: პრეზენტაცია და გამჟღავნება ფინანსურ ანგარიშგებაში

- *ძალაში შესვლის თარიღი: 2027 წლის 1 იანვარი*
- *რეზიუმე: ფასს 18 შემოაქვს ახალ კატეგორიებსა და ქვეკატეგორიებს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და მოითხოვს მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული შესრულების საზომების გამჟღავნებას.*

შპს „ნათს ინჟორფორეითი“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

2. ცვლილებები ბასს 21-ში: შეუცვლელობის ნაკლებობა

- ძალაში შესვლის თარიღი: 2025 წლის 1 იანვარი
- რეზიუმე: ეს ცვლილებები აკონკრეტებს, თუ როგორ უნდა შეაფასოს ერთეულმა ვალუტის გაცვლადიობა და ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნები, თუ ეს ასე არ არის.

3. ცვლილებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში: კონტრაქტები, რომლებიც ეხება ბუნებაზე დამოკიდებული ელექტროენერგიას

- ძალაში შესვლის თარიღი: 2026 წლის 1 იანვარი
- რეზიუმე: ცვლილებები განმარტავს „საკუთარი გამოყენების“ მოთხოვნების გამოყენებას და ნებას რთავს ჰეჯირების აღრიცხვას გარკვეული კონტრაქტებისთვის.

ერთეულზე გავლენას ახდენს ცვლილებები, როდესაც მას აქვს ტრანზაქცია ან ოპერაცია უცხოურ ვალუტაში, რომელიც არ შეიცვლება სხვა ვალუტაში შეფასების თარიღისთვის განსაზღვრული მიზნით. ვალუტა ცვალებადია, როდესაც არსებობს სხვა ვალუტის მოპოვების შესაძლებლობა (ჩვეულებრივი ადმინისტრაციული დაგვიანებით) და ტრანზაქცია განხორციელდება ბაზრის ან გაცვლის მექანიზმის მეშვეობით, რომელიც ქმნის აღსრულებად უფლებებსა და ვალდებულებებს.

კომპანია მოელის, რომ ამ ახალი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება, რომელიც ძალაში იქნება შემდეგი საანგარიშგებო პერიოდიდან, არ ექნება არსებით გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე ან ფულადი სახსრების ნაკადებზე.

შპს „ნათს ინკორპორირებული“
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

3. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები	ნერგები	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები, კომპიუტერები და სხვა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სარწყავი სისტემები	მიწის გაუმჯობესება	იჯარით (ლიზინგით) მიღებული ქონება	სულ
საბალანსო ღირებულება										
1 იანვარი 2023	11,354,216	863,503	22,174,429	2,099,667	2,547,229	220,519	1,533,681	1,674,213	1,689,708	44,157,165
შემოსვლა	17,959,662	2,684,315	16,351,956	2,515,849	1,248,877	197,116	965,602	2,067	161,748	42,087,192
კაპიტალიზაცია	137,801	-	6,624,400	-	-	-	-	-	-	6,762,201
ჩამოწერა	(124,107)	(622,339)	-	-	-	-	622,339	124,107	-	-
გასვლა	-	-	-	(71,028)	-	-	-	-	-	(71,028)
31 დეკემბერი 2023	29,327,572	2,925,479	45,150,785	4,544,488	3,796,106	417,635	3,121,622	1,800,387	1,851,456	92,935,530
შემოსვლა	3,500,165	14,270	-	4,831,706	938,535	14,071	390,877	612	-	9,690,236
კაპიტალიზაცია	-	-	6,431,170	-	-	-	-	-	-	6,431,170
შიდა მოძრაობა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ჩამოწერა	(25,295)	-	-	(8,506)	(495,269)	-	-	-	-	(529,070)
31 დეკემბერი 2024	32,802,442	2,939,749	51,581,955	9,367,688	4,239,372	431,706	3,512,499	1,800,999	1,851,456	108,527,866
აკუმულირებული ცვეთა										
1 იანვარი 2023	-	(132,043)	(1,031,858)	(334,444)	(496,963)	-	(160,519)	(434,047)	(55,718)	(2,645,592)
წლის ცვეთა	-	(123,144)	(1,435,396)	(483,692)	(608,894)	-	(219,300)	(339,473)	(60,948)	(3,270,847)
ჩამოწერილი აქტივის ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	-	(255,187)	(2,467,254)	(818,136)	(1,105,857)	-	(379,819)	(773,520)	(116,666)	(5,916,439)
წლის ცვეთა	-	(452,951)	(2,127,367)	(936,417)	(772,524)	-	-	-	-	(4,289,259)
ჩამოწერილი აქტივის ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2024	-	(708,138)	(4,594,621)	(1,754,553)	(1,878,381)	-	(379,819)	(773,520)	(116,666)	(10,205,698)
წმინდა საბალანსო ღირებულება										
1 იანვარი 2023	11,354,216	731,460	21,142,571	1,765,223	2,050,266	220,519	1,373,162	1,240,166	1,633,990	41,511,573
31 დეკემბერი 2023	29,327,572	2,670,292	42,683,531	3,726,352	2,690,249	417,635	2,741,803	1,026,867	1,734,790	87,019,091
31 დეკემბერი 2024	32,802,442	2,231,611	46,987,334	7,613,135	2,360,991	431,706	3,132,680	1,027,479	1,734,790	98,322,168

შპს „ნათს ინჟორფორეითიდ“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ნაყოფის მომცემი კულტურები

კულტურები	დირებულება 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	შემოსვლა	კაპიტალიზაცი ა	ჩამოწერა	გასვლა	დირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თხილი	34,471,027	-	3,967,905	-	-	38,438,932
კაკალი	132,678	-	-	-	-	132,678
ნუში	10,547,080	-	2,463,265	-	-	13,010,345
სულ	45,150,785	-	6,431,170	-	-	51,581,955

2021 წელს თხილის ბადის შეძენისას თხილის ხეების ასაკი იყო 10 წელი. თხილის ხეები სრულ მოსავალს იძლევა მე-7 წელს და მანამდე ამ ხეებს არ ერიცხება ცვეთა. შეძენილი თხილის ბაღი ხასიათდებოდა დაბალი მოსავლიანობით, რაც გამოწვეული იყო არასაკმარისი აგრო ღონისძიებების ჩატარებით. თხილის ბადის აღსადგენად საჭიროებდა მძიმე გასხვლას. კომპანიის აგრონომის შეფასებით თხილის ხეები სრულ მსხმოიარობაში შევა 2026 წლიდან. 2024 წლის განმავლობაში კომპანიამ დააკაპიტალიზა 3,967,905 ლარი (2023: 4,420,955 ლარი) თხილის ხეების ზრდაზე გაწეული ხარჯები. თხილის ბაღი ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა.

2021 წელს კომპანიამ შეიძინა კაკლის ნერგები რომელთა ასაკი იყო 3 წელი. კაკლის ნერგები სრულ მოსავალს იძლევა მე-5 წელს და მანამდე ამ ნერგებს არ ერიცხება ცვეთა.

2021 წელს კომპანიამ შეიძინა ნუშის ნერგები რომელთა ასაკი იყო 3 წელი. ნუშის ნერგები სრულ მოსავალს იძლევა მე-7 წელს და მანამდე ამ ნერგებს არ ერიცხება ცვეთა. 2024 წლის განმავლობაში კომპანიამ დააკაპიტალიზა 2,463,312 ლარი (2023: 2,231,023 ლარი) ნუშის ნერგების ზრდაზე გაწეული ხარჯები რომლებიც ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა.

კაპიტალიზებადი ხარჯები მოიცავს: ნერგების, თესლების, კვირტების და საოპერაციო ხარჯების პროპორციულ განაწილებას წყლის, საწვავის, მანქანის ხარჯებისა და შრომითი დანახარჯების ჩათვლით. საოპერაციო ხარჯების პროპორციული განაწილება ეფუძნება ხეების/მცენარეების რაოდენობას, რომლებიც არ ითვლება ზრდასრულად მთლიანი რაოდენობის პროპორციის შესაბამისად.

ზრდასრული ხეების შეძენის დირებულება კაპიტალიზდება, ასევე კაპიტალიზდება ყველა შემდგომ გაწეული ხარჯი მანამ, სანამ საწარმო მიიღებს სრულ მოსავალს თხილის და ნუშის შემთხვევაში არის 7 წელი, ხოლო კაკლის შემთხვევაში ეს არის 5 წელი.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას სესხების უზრუნველსაყოფად დაგირავებული აქვს და იპოთეკით დატვირთულია მთელი ქონება, მათ შორის: შენობა-ნაგებობები, მიწა ხე-მცენარეები და სხვა აქტივები.

2024 წლის ბოლოს კომპანიას არ აქვს სრულად ამორტიზირებული ძირითადი საშუალებები.

შპს „ნატოს ინჟორფორეტიდი“
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

4. გადახდილი ავანსები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ავანსები ძირითად საშუალებებზე	333,651	673,978
ავანსები იჯარებზე	8,197	8,197
გაუფასურების რეზერვი	(122,390)	-
სულ გადახდილი ავანსები	219,458	682,175

გადახდილი ავანსები ძირითადად მოიცავს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენისა და მოვლის საშუალებების შესაძენად გადახდილ ავანსებს.

5. გაცემული სესხები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გაცემული სესხის	-	1,653,475
გრძელვადიანი ნაწილი		
მოკლევადიანი სესხები	3,091,535	-
სულ ძირი	3,091,535	1,653,475
მისაღები პროცენტი	602,841	279,502
სულ მისაღები პროცენტი	602,841	279,502
სულ გაცემული სესხი	3,694,376	1,932,977

კომპანიას სესხი გაცემული აქვს დაკავშირებულ მხარეზე, უცხოური საწარმოს ფილიალზე Ge Investment Corp-ზე. სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 13,2%-ს. სესხის ძირი და დარიცხული პროცენტი გადაიხდება 2025 წლის 31 დეკემბრამდე.

6. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ბიოლოგიური აქტივები	9,632,666	3,547,982
გაუტეხავი თხილი	5,433,617	1,631,325
გაუტეხავი ნუში	1,500,656	294,434
თხილის სხვა პროდუქტები	2,698,393	1,622,223
მარაგები	4,218,333	1,349,598
შხამ-ქიმიკატები	3,301,245	994,698
სხვა მარაგები	917,088	354,900
სულ მარაგები	13,850,999	4,897,580

კომპანიის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ძირითადად შედგება თხილის, ნუშისა და კაკლის ნერგებისგან. მოსავლის აღებისას სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია აღირიცხება მარაგებში და თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოსავლის აღების დროს გაყიდვის დანახარჯებით.

სხვა მარაგები მოიცავს მცირე ფასიან სამშენებლო მასალებს.

შპს „ნათს ინჟორფორეტიდი“
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოთხოვნები მენეჯმენტის მიმართ	80,858	84,140
სავაჭრო მოთხოვნები	3,226,426	1,030,806
გაუფასურების რეზერვი	(163,785)	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,143,499	1,114,946

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები წარმოიშვება მარაგაგების რეალიზაციიდან; მარაგების მიწოდება ხდება კონსიგნაციის პირობით.

ვადაგადაცილება	0-30	31-90	91-180	180-365	365>
სავაჭრო მოთხოვნები	1,894,604	594,922	833,390	4,427	29,541
გაუფასურების %	1%	5%	10%	50%	100%
რეზერვი	18,946	29,746	83,339	2,213	29,541

მიუხედავად დიდი ხნის პარტნიორული ურთიერთობისა დამკვეთებთან, კომპანიამ მაინც შექმნა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი.

სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანების უცხოური ვალუტის ეფექტი, იხილეთ შენიშვნა N19- ში.

8. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნაღდი ფული	257	3,565
ფული საბანკო ანგარიშზე	1,567,304	97,304
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	1,567,561	100,869

ფული საბანკო ანგარიშზე განთავსებულია თიბისი ბანკის მიმდინარე ანგარიშზე.

ფულისა და ფულის ექვივალენტების რეალურ და საბალანსო ღირებულებას შორის არ არის არსებითი სხვაობა.

ფული და ფულის ექვივალენტის უცხოური ვალუტის ეფექტი, იხილეთ შენიშვნა N 19- ში.

9. მიღებული სესხები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გრძელვადიანი სესხები	67,835,652	64,330,194
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	14,184,900	791,740
სესხების პროცენტი	447,693	391,438
სულ მიღებული სესხები	82,468,245	65,513,372

თიბისი ბანკისგან მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად დაგირავებულია კომპანიის ქონება. სრულად არის დაგირავებული მიწები, შენობები ხეხილის ბაღები და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მათ შორის ტრაქტორები.

შპს „ნათს ინჟორფორეითიდ“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თიბისი ბანკთან გაფორმებულ სასესხო ხელშეკრულებებს აქვს გარკვეული შეზღუდვები, თუმცა კომპანია ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებს და ბანკს არ განუხორციელებია დამატებითი ქმედებები.

2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ მიღებული სესხები შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ძირის დაფარვა	პროცენტის დაფარვა	ვალუტა	თანხა
კატო კორპ	1/4/2022	1/4/2026	0%	პერიოდის ბოლოს	არა	ლარი	41,640
თიბისი ბანკი 1	6/12/2023	6/12/2033	15%	გადახდა იწყება 2025	ყოველთვიურად	ლარი	1,499,980
თიბისი ბანკი 2	6/12/2023	6/12/2033	15%	გადახდა იწყება 2025	ყოველთვიურად	ლარი	936,248
თიბისი ბანკი 3	6/9/2023	6/9/2033	9%	გადახდა იწყება 2025	ყოველთვიურად	ევრო	31,826,316
თიბისი ბანკი 4	6/12/2033	6/12/2033	9%	გადახდა იწყება 2025	ყოველთვიურად	ევრო	20,514,200
თიბისი ბანკი 5	6/12/2033	6/12/2033	15%	გადახდა იწყება 2025	ყოველთვიურად	ლარი	1,500,000
თიბისი ბანკი 6	6/12/2023	6/12/2030	9%	გადახდა იწყება 2025	ყოველთვიურად	ევრო	1,670,442
თიბისი ბანკი 7	6/12/2023	6/12/2033	9%	გადახდა იწყება 2025	ყოველთვიურად	ევრო	1,318,770
თიბისი ბანკი 8	2/15/2024	12/15/2025	10.8%	პერიოდის ბოლოს	ყოველთვიურად	დოლარი	3,508,500
თიბისი ბანკი 9	2/15/2024	5.15.2025	9%	პერიოდის ბოლოს	ყოველთვიურად	ევრო	10,550,159
თიბისი ბანკი 10	2/15/2024	12/15/2033	9%	პერიოდის ბოლოს	ყოველთვიურად	ევრო	849,874
თიბისი ბანკი 11	2/15/2024	12/15/2030	9%	გადახდა იწყება 2026	ყოველთვიურად	ევრო	1,377,382
თიბისი ბანკი 12	5/14/24	12/15/2030	9%	გადახდა იწყება 2026	ყოველთვიურად	ევრო	146,530
თიბისი ბანკი 13	12/26/2024	1/26/2032	10%	პერიოდის ბოლოს	ყოველთვიურად	ევრო	3,223,660
თიბისი ბანკი 14	12/26/2024	4/26/2032	10%	პერიოდის ბოლოს	ყოველთვიურად	ევრო	2,930,600
შპს ნათს	3/8/2022	12/29/2025	14%	სესხის პერიოდის ბოლოს	პერიოდის ბოლოს	ლარი	126,240
ჯორჯია							
გადასახდელი ძირი							82,020,552
გადასახდელი პროცენტი							447,693
სულ მიღებული სესხები					24		82,468,245

შპს „ნათს ინჟინერინგითი“
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

მიღებული სესხების ძირის მოძრაობა 2024 წლის განმავლობაში

საწყისი ნაშთი	65,121,934	33,516,175
ახალი სესხის აღება	39,195,893	70,303,822
სესხის დაფარვა	22,832,531	32,964,893
სესხის კაპიტალში გადატანა	-	8,035,914
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(535,256)	(2,302,744)
საბოლოო ნაშთი	82,020,552	65,121,934

საპროცენტო ვალდებულებების საწყისი ნაშთი	391,438	307,936
დარიცხული პროცენტი	7,912,473	5,018,147
გადახდილი პროცენტი	7,862,534	4,927,676
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(6,316)	6,969
საპროცენტო ვალდებულებების საბოლოო ნაშთი	447,693	391,438

2024 წლის განმავლობაში კომპანიის დარიცხულმა საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 7,508,452 ლარი (2023: 5,248,640 ლარი).

შპს „ნათს ინჟინერული“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ მიღებული სესხები შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ძირის დაფარვა	პროცენტის დაფარვა	ვალუტა	თანხა
კატო კორპ	1/4/2022	1/4/2026	0%	ყოველთვიურად, გადახდა იწყება 2024 წლიდან	არა	ლარი	39,898
თიბისი ბანკი 1	6/12/2023	6/12/2033	15%	გადახდა იწყება 2025	ყოველთვიურად	ლარი	1,499,990
თიბისი ბანკი 2	6/12/2023	6/12/2033	15%	გადახდა იწყება 2025	ყოველთვიურად	ლარი	936,248
თიბისი ბანკი 3	6/9/2023	6/9/2033	9%	გადახდა იწყება 2025	ყოველთვიურად	ევრო	32,311,758
თიბისი ბანკი 4	6/12/2023	6/12/2033	9%	გადახდა იწყება 2025	ყოველთვიურად	ევრო	20,827,100
თიბისი ბანკი 5	6/12/2023	6/12/2033	15%	გადახდა იწყება 2025	ყოველთვიურად	ლარი	1,500,000
თიბისი ბანკი 6	6/12/2023	6/12/2030	9%	გადახდა იწყება 2025	ყოველთვიურად	ევრო	1,695,921
თიბისი ბანკი 7	6/28/2023	2/20/2024	9%	გადახდა იწყება 2025	ყოველთვიურად	ევრო	4,180,394
თიბისი ბანკი 8	6/12/2023	6/12/2033	9%	გადახდა იწყება 2025	ყოველთვიურად	ევრო	1,338,885
შპს ნათს	3/8/2022	29/12/2023	14%	სესხის პერიოდის ბოლოს	პერიოდის ბოლოს	ლარი	791,740
ჯორჯია							
გადასახდელი ძირი							65,121,934
გადასახდელი პროცენტი							391,438
სულ მიღებული სესხები							65,513,372

შპს „ნათს ინჟორფორეითი“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო ვალდებულებები	2,343,713	349,638
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	580,274	333,989
სხვა ვალდებულებები	30,000	30,000
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,953,987	713,627

სავაჭრო ვალდებულებები ძირითადად მოიცავს ვალდებულებებს შხამ-ქიმიკატების მომწოდებლებთან 1,652,055 ლარი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვთ უცხოური ვალუტის ეფექტი, იხილეთ შენიშვნა N19-ში.

11. საიჯარო ვალდებულებები

იჯარის ხელშეკრულების ძირითადი პირობები 2024 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

აღწერა	რაოდენობა	დარჩენილი დრო
სასოფლო სამეურნეო ტექნიკა	32	3-5 წელი

საიჯარო ვალდებულებებში მოძრაობა იყო შემდეგი:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 იანვარი	1,033,127	1,156,838
დამატება	3,238,540	161,748
საპროცენტო ხარჯის დარიცხვა	575,622	215,268
საკურსო სხვაობის ეფექტი	66	(3,715)
გადახდა	1,031,404	497,012
31 დეკემბერი	3,815,951	1,033,127

საიჯარო ვალდებულებები 31/12/2024 მოკლევადიანი და გრძელვადიანი ნაწილის სახით წარმოდგენილია ქვემოთ:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მინიმალური იჯარის გადახდა:		
ერთ წლამდე	1,499,816	429,622
ერთი წლიდან ხუთ წლამდე	4,100,278	1,121,986
შემცირება: საპროცენტო ხარჯი	(1,784,143)	(518,481)
სულ	3,815,951	1,033,127
მიმდინარე ნაწილი გრძელვადიანი იჯარის	874,327	230,907
გრძელვადიანი იჯარა	2,941,624	802,220
სულ საიჯარო ვალდებულება	3,815,951	1,033,127

შპს „ნათს ინჟორფორეითიდე“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

12. საწესდებო კაპიტალი

	2024	2023
საწყისი კაპიტალი	43,861,565	14,882,269
ფულადი შენატანი	6,541,159	9,303,365
არაფულადი შენატანი	-	11,640,017
სესხის კონვერტაცია	-	8,035,914
საბოლოო კაპიტალი	50,402,724	43,861,565

2024 წლის განმავლობასი საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 6,541,158 ლარით და გაიზარდა 50,4 მილიონ ლარამდე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელებს განხორციელებული აქვთ შემდეგი შენატანები:

გურამ შალუტაშვილი - 25,290,645 ლარი

სტივენ პოდოლსკი - 15,250,513 ლარი

ეკატერინე შველიძე - 6,000,000 ლარი

13. შემოსავალი	2024	2023
შემოსავალი კონტრაქტით რეალიზაციებიდან	12,017,879	2,605,897
მათ შორის		
· ექსპორტი	12,017,879	1,487,344
· ადგილობრივ კომპანიებთან	-	1,118,553
სხვა ადგილობრივი რეალიზაციები	3,311,279	1,422,124
სულ შემოსავალი	15,329,158	4,028,021

კომპანია რეალიზაციას ახორციელებს როგორც ლოკალურ ბაზარზე ასევე ექსპორტზე, კონსიგნაციით.

14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2024	2023
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14,917,143	4,124,604
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14,917,143	4,124,604

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება არის მოსავლის სამართლიან ღირებულებას დამატებული გაყიდვის დანახარჯებით.

15. სამართლიანი ღირებულების კორექტირება ბიოლოგიურ აქტივზე და მოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები

	2024	2023
სამართლიანი ღირებულების კორექტირება ბიოლოგიურ აქტივზე	16,543,467	7,562,741
სულ	16,543,467	7,562,741

მოსავლის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება, როგორც შეფასებული სამართლიანი ღირებულება შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით. თავის მხრივ გაყიდვის დანახარჯები მოიცავს შრომისა და ტრანსპორტირების ღირებულებას.

2024 წელს თხილის და ნუშის მოსავლის აღების მომენტში კომპანიამ აღიარა მარაგი

შპს „ნათს ინჟინერული“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სამართლიანი ღირებულებით 16,543,467 ლარი (2023: 7,562,741 ლარი) .

მოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები

	2024	2023
ხელფასის ხარჯი	(5,715,462)	(3,720,369)
საწვავის ხარჯი	(619,784)	(344,932)
საიჯარო ხარჯი	(320,217)	(233,301)
ტრანსპორტირების ხარჯი	(114,936)	(145,831)
საპენსიო ხარჯი	(107,315)	(94,169)
კომუნალური ხარჯი	(113,737)	(65,772)
ადჟუწვილობის მოვლის ხარჯი	(76,078)	(64,859)
მარკეტინგის ხარჯი	(57,012)	(56,953)
სხვა ხარჯი	(180,897)	(145,334)
სულ	(7,305,438)	(4,871,520)

16. არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)

	2024	2023
უსასყიდლოდ მიღებული აქტივები	22,845	173,202
კონვერტაციიდან მიღებული შემოსავალი/(ხარჯი)	(305,573)	(415,442)
საბანკო ხარჯი	(178,947)	(249,467)
მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	264,462	-
ინვენტარიზაციის შედეგად მიღებული სხვაობის შემოსავლად აღიარება	31,358	-
სხვა შემოსავალი	340,858	359,061
სულ	175,003	(132,646)

17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

შპს „ნათს ინჟორფორეითი“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	2024	2023
ხელფასის ხარჯი	1,207,501	1,112,286
ქონების და მიწის გადასახადი	329,938	334,010
პროფესიული მომსახურების ხარჯი	227,251	137,239
იჯარის ხარჯი	115,863	98,629
მივლინების ხარჯი	81,118	76,063
ოფისის ხარჯი	87,781	43,488
საპენსიო ხარჯი	48,627	42,670
კომუნალური და სხვა მომსახურების ხარჯები	39,375	24,390
საწვავის ხარჯი	26,849	17,961
დაცვის ხარჯი	3,280	3,155
წარმომადგენლობითი ხარჯი	17,856	8,546
საკომუნიკაციო ხარჯი	-	9,160
სხვა ხარჯები	131,132	100,087
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2,316,571	2,007,684

18. საპროცენტო ხარჯები

	2024	2023
საპროცენტო ხარჯი	6,932,830	5,033,372
იჯარის საპროცენტო ხარჯი	575,622	215,268
სულ საპროცენტო ხარჯი	7,508,452	5,248,640

19. საკურსო მოგება/(ზარალი)

	2024	2023
საკურსო მოგება	7,972,645	3,792,246
მიღებული სესხებიდან	7,457,499	3,514,594
ფული და ფულის ექვივალენტები	212,871	154,750
სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისგან	59,088	12,998
ფინანსური იჯარა	221,413	71,618
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21,774	38,286
საკურსო ზარალი	(7,376,266)	(5,941,810)
მიღებული სესხები	(6,915,927)	(5,810,369)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(109,483)	(1,306)
ფინანსური იჯარა	(221,478)	(20,598)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(13,734)	(67,902)
ფული და ფულის ექვივალენტები	(115,644)	(41,635)
წმინდა საკურსო შემოსავალი/(ზარალი)	596,379	(2,149,564)

20. მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

შპს „ნათს ინჟორფორეითი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად, აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

21. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს კანონმდებლობის ხშირი ცვლილებები, ოფიციალურ განცხადებებსა და სასამართლო გადაწყვეტილებებში, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია და წინააღმდეგობრივი და ეჭვმდებარე განსხვავებულ ინტერპრეტაციას. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს მიერ არ შეიძლება დაეკისროს ვალდებულება დამატებითი გადასახადების და ჯარიმების იმ წლის დასრულებიდან სამი წლის შემდეგ, როდესაც მოხდა დარღვევა.

ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რომლებიც სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო მნიშვნელოვანი იქნება. მენეჯმენტი თვლის, რომ მან ადეკვატურად შეაფასა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და ეფექტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

22. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

(ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია მაქსიმალურად ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას. თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას. კომპანიამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა შეფასების მეთოდის გამოყენებით. შეფასების მეთოდის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის რეალიზაციიდან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში შეფასების თარიღით. შეფასების გამოყენებული მეთოდი დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლა ხდება მომავალი ძირითადი

და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, დისკონტირებული ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

შპს „ნათს ინჟორფორეითი“
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ბ) ფინანსური რისკები მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგისაზის რისკები:

- ☐ საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ანმისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;
- ☐ ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.;
- ☐ საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
 - საპროცენტო რისკი;
 - სავალუტო რისკი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული და ფულის ექვივალენტები	1,567,561	100,869
სავაჭრო მოთხოვნები	3,143,499	1,114,946
გაცემული სესხები	3,694,376	1,932,977
სულ ფინანსური აქტივები	8,405,436	3,148,792
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,953,987	713,627
საგადასახადო ვალდებულება	499,982	549,785
ფინანსური იჯარა	3,815,951	1,033,127
მიღებული სესხები	82,020,552	65,121,934
სულ ფინანსური ვალდებულებები	89,290,472	67,418,473

i.რისკის მართვის სტრუქტურა

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად. კომპანიის საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა საერთო რისკის მართვის შესახებ.

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული და ფულის ექვივალენტები	1,567,561	100,869
სავაჭრო მოთხოვნები	3,143,499	1,114,946
გაცემული სესხები	3,694,376	1,932,977
სულ ფინანსური აქტივები	8,405,436	3,148,792

ii.საკრედიტო რისკი

შპს „ნათს ინჟორფორეითი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარისმიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში.

კომპანიის მაქსიმალური ზემოქმედება საკრედიტო რისკზე, ძირითადად, აისახება ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

კომპანია იყენებს გაუფასურების 3 დონიან მოდელს, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდგომ მისი საკრედიტო რისკის ხარისხის ცვლილებაზე, რომელიცამოთვლილია ქვემოთ:

- ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის გაუფასურებული საწყისი აღიარებისას, კლასიფიცირდება როგორც I დონე და მისი საკრედიტო რისკი განგრძობითად კონტროლირებადია კომპანიის მიერ.
- თუ საწყისი აღიარების შემდგომ დაფიქსირდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, მაშინ ფინანსური ინსტრუმენტი გადადის II დონეში, მაგრამ ამ ეტაპზე არ მიიჩნევა გაუფასურებულად.
- თუ ფინანსური ინსტრუმენტი გაუფასურებულია, მაშინ ის გადადის III დონეში.
- I დონის ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის პროპორციული წილი მომდევნო 12 თვეში მოსალოდნელი მოვლენებისა. ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი II და III დონისთვის გამოითვლება როგორც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კომპანიის მიერ გამოყენებულ გაუფასურების მეთოდს.

I დონე	II დონე	III დონე
	ე	
(საწყისი აღიარება)	(საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა საწყისი აღიარების შემდეგ)	(გაუფასურებული აქტივი)
12-თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარჯი	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

კომპანია ფინანსური ანგარიშგების ყველა ფინანსურ აქტივს, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა, ასახავს I დონეში 2024 წლის ბოლოს.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას, რომელიც დაფუძნებულია ვადაგადაცილბულ დღეებზე. კომპანიას აქვს 5 ვადაგადაცილების დონე: 30 დღეზე ნაკლები, 31-60 დღემდე, 61-90 დღემდე და 180 დღეზე მეტი. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პროცენტი დაფუძნებულია კომპანიის საოპერაციო სექტორსა და მის წარსულ გამოცდილებაზე.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაფუძნებულია მისი პირველადი აღიარების შემდგომ საკრედიტო რისკის ცვლილებაზე.

ზარალის ანარიცხი ითვლება მოცემული საფუძვლებიდან ერთ-ერთით. ა) 12 თვის მოსალოდნელისაკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვან ზრდას არ განიცდის. ბ) არსებობის მანძილზე არსებული საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ განიცდის მნიშვნელოვან ზრდას.

შპს „ნათს ინჟორფორეტიდი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

იმის გათვალისწინებით, რომ საკრედიტო რისკი საწყისი აღიარების შემდგომ მნიშვნელოვნად არგაზრდილა, კომპანია დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციებისთვის იყენებს 12 თვიან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომას.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელებდა ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა.

ლიკვიდურობის ცხრილი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1 დან 5 წლამდე	5 და მეტი ვადით	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	1,567,561	-	-	1,567,561
სავაჭრო მოთხოვნები	3,143,499	-	-	3,143,499
გაცემული სესხები	3,694,376	-	-	3,694,376
სულ ფინანსური აქტივები	8,405,436	-	-	8,405,436
სავაჭრო ვალდებულებები	(2,953,987)	-	-	(2,953,987)
საგადასახადო ვალდებულება	(499,982)	-	-	(499,982)
ფინანსური იჯარა	(874,327)	(2,941,624)	-	(3,815,951)
მიღებული სესხები	(14,184,900)	(60,831,518)	(7,004,134)	(82,020,552)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(18,513,196)	(63,773,142)	(7,004,134)	(81,658,570)
ლიკვიდურობის პოზიცია	(10,107,760)	(63,773,142)	(7,004,134)	(73,253,134)

კომპანიამ საქმიანობა დაიწყო 2020 წლის ივლისში და ჯერ სრულად არ იღებს შემოსავალს გაყიდვებიდან. კომპანია აქტიურად ახორციელებს ინვესტიციებს ნაყოფის მომცემ კულტურებში სრული მოსავლიანობის მისაღებად. ამიტომ, უარყოფითი ლიკვიდურობის პოზიცია ნორმალურია მისი ბიზნეს საქმიანობისთვის.

მიღებული სესხებით კომპანიმ შეიძინა ძირითადი საშუალებები, შესაბამისად, შემოსავალს მიიღებს მომავალ პერიოდში, როდესაც ბიზნეს საქმიანობა აქტიურ ფაზაში გადავა და ლიკვიდურობის პოზიცია გაუმჯობესდება.

შპს „ნათს ინჟორფორეითი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ლიკვიდურობის ცხრილი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1 დან 5 წლამდე	5 და მეტი ვადით	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	100,869	-	-	100,869
სავაჭრო მოთხოვნები	1,114,946	-	-	1,114,946
გაცემული სესხები		1,932,977	-	1,932,977
სულ ფინანსური აქტივები	3,148,792	1,932,977	-	5,081,769
სავაჭრო ვალდებულებები	(713,627)	-	-	(713,627)
საგადასახადო ვალდებულება	(549,787)	-	-	(549,787)
ფინანსური იჯარა	(230,907)	(802,220)	-	(1,033,127)
მიღებული სესხები	791,740	(15,822,811)	(11,971,314)	(27,002,385)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(702,581)	(16,625,031)	(11,971,314)	(29,298,926)
ლიკვიდურობის პოზიცია	2,446,211	(14,692,054)	(11,971,314)	(24,217,157)

კომპანიის აქვს ლიკვიდურობის უარყოფითი ბალანსი. მენეჯმენტის შეფასებით ლიკვიდურობის ეს მაჩვენებელი არ არის უჩვეულო ბიზნესისთვის.

iii. საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადინაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკუროს სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო. კომპანიის განფენილობა საკუროს სხვაობის განაკვეთების ცვლილების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება აშშ დოლარში დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს.

საკრედიტო რისკის განფენილობა

ვალუტის რისკის გათვალისწინებით, მენეჯმენტი განსაზღვრავს შეზღუდვას ვალუტის ზემოქმედების დონის მიხედვით და მთლიანობაში. კომპანიის უცხოური ვალუტის რისკის განფენილობა იყო შემდეგი:

31 დეკემბერი 2024

	ვალუტა	ფული	სავაჭრო მოთხოვნები	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	ფინანსური იჯარა	სესხები	სულ
31 დეკემბერი 2024	დოლარი	371,158	631,370	(228,783)	(483,706)	(3,508,500)	(3,218,461)
31 დეკემბერი 2024	ევრო	1,104,668	2,314,547	(753,281)	(2,991,004)	(74,407,934)	(74,733,004)
31 დეკემბერი 2023	დოლარი	85,173	830,165	(981,227)	(606,978)	(23,376)	(696,243)
31 დეკემბერი 2023	ევრო	-	291,073	(24,615)	-	(60,354,058)	(60,087,600)

სენსიტიურობის ანალიზი

შემდეგი ცხრილი ასახავს მოგება-ზარალის და კაპიტალის სენსიტიურობა ბალანსის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსების შესაძლო ცვლილებებს, ყველა სხვა ცვლადი უცვლელია:

31 დეკემბერი 2024	
გავლენა მოგება/(ზარალზე)	
აშშ დოლარის 10%-ით გამყარება	321,846
აშშ დოლარის 10%-ით გაუფასურება	(321,846)
ევროს 10%-ით გამყარება	7,473,300
ევროს 10%-ით გაუფასურება	(7,473,300)
31 დეკემბერი 2023	
გავლენა მოგება/(ზარალზე)	
აშშ დოლარის 10%-ით გამყარება	(69,624)
აშშ დოლარის 10%-ით გაუფასურება	69,624
ევროს 10%-ით გამყარება	(6,008,760)
ევროს 10%-ით გაუფასურება	6,008,760

iv. საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით). ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს კომპანიის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით.

კომპანია ექვემდებარება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების გაბატონებული დონის რყევების ზემოქმედებას მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

საპროცენტო მარჟა შეიძლება გაიზარდოს ასეთი ცვლილებების შედეგად, მაგრამ შეიძლება შემცირდეს ან გამოიწვიოს ზარალი მოულოდნელი მოძრაობების წარმოქმნის შემთხვევაში.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, ფინანსური ინსტრუმენტების ნარჩენი ღირებულება ასახავს მათ სამართლიან ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულების იერარქია

მენეჯმენტი თვლის, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებები მიახლოებითაა მათი საბალანსო ღირებულებით.

ქვემოთ მოცემული ცხრილები დეტალურად აღწერს კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებს, რომლებიც შეფასებულია ან გამჟღავნებულია სამართლიანი ღირებულებით, სამი დონის იერარქიის გამოყენებით, დაფუძნებული მონაცემების ყველაზე დაბალ დონეზე, რომელიც მნიშვნელოვანია მთლიანი რეალური ღირებულების შეფასებისთვის, რაც:

დონე 1: კოტირებული ფასები (დაუსწორებელი) აქტიურ ბაზრებზე იდენტური აქტივების ან

შპს „ნათს ინჟორფორეითი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ვალდებულებების შესახებ, რომლებზეც ერთეულს შეუძლია წვდომა შეფასების თარიღისთვის.

დონე 2: შეტანილი მონაცემები, გარდა კოტირებული ფასებისა, რომელიც შედის 1 დონეზე, რომელიც დაკვირვებადია აქტივისთვის ან ვალდებულებისთვის, პირდაპირ ან ირიბად.

დონე 3: აქტივის ან ვალდებულების დაუკვირვებადი მონაცემები.

	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
2024				
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	1,567,561	-	-	1,567,561
გაცემული სესხები	-	3,694,376	-	3,694,376
სავაჭრო მოთხოვნები	-	-	3,143,499	3,143,499
სულ აქტივები	1,567,561	3,694,376	3,143,499	8,405,436
ვალდებულებები				
მიღებული სესხები	-	82,020,552	-	82,020,552
საგადასახადო ვალდებულებები	-	499,982	-	499,982
ფინანსური იჯარა	-	3,815,951	-	3,815,951
სავაჭრო ვალდებულებები	-	-	2,953,987	2,953,987
სულ ვალდებულებები	-	86,336,485	2,953,987	89,290,47

	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
2023				
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	100,869	-	-	100,869
გაცემული სესხები	-	1,932,977	-	1,932,977
სავაჭრო მოთხოვნები	-	-	1,114,946	1,114,946
სულ აქტივები	100,869	1,932,977	1,094,754	3,148,792
ვალდებულებები				
მიღებული სესხები	-	65,121,934	-	65,121,934
საგადასახადო ვალდებულებები	-	549,787	-	549,787
ფინანსური იჯარა	-	1,033,127	-	1,033,127
სავაჭრო ვალდებულებები	-	-	713,627	713,627
სულ ვალდებულებები	-	66,704,846	713,627	67,418,475

23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარე არის პიროვნება ან საწარმო ,დაკავშირებული იმ საწარმოსთან , რომელიცამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას:

ა) პიროვნება ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულმხარედ თუ:

I) ეს პიროვნება აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს;

II) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

III) არის ანგარიშვალდებულ საწარმოს ან მისი სათავე საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

ბ). საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის საკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგიპირობებიდან რომელიმე არსებობს:

I) ეს საწარმო ან ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები(რაც იმას ნიშნავს რომ, სათავე საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავეს საწარმოს სხვა შვილობილისაწარმოები

შპს „ნათს ინჟორფორეითი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ერთმანეთან არიან დაკავშირებულები);

II) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორესაწარმო);

III) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ საწარმოს;

IV) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მეკავშირე საწარმოა;

V) ეს საწარმო არის ან ანგარიშვალდებულთა საწარმოს ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ მომუშავეთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებულ პირი თვითონ არის

ამგვარი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა.

VI) ამ საწარმოს აკონტროლებს ან ერთბლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პიროვნება.

VII) პუნქტში მითითებულ რომელიმე პიროვნებას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ანეს პიროვნება არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი სათავო) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

VIII) ეს საწარმო ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებულ საწარმოს, ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათავო საწარმოსთვის ასრულებს მართველობით მომსახურებას.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები წარმოდგენილი ქვემოთ:

ბალანსი:	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მიღებული სესხები	126,240	791,740
მოთხოვნები დამფუძნებლის მიმართ	-	-
მოთხოვნები მენეჯმენტის მიმართ	-	-
გაცემული სესხები	3,694,376	1,932,977
ოპერაციების ღირებულება		
ოპერაციები:		
იჯარის ხარჯი	-	-
მომსახურების ხარჯი	-	-
წარმომადგენლობითი ხარჯი	-	-

ხელმძღვანელობის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ხარჯები წარმოდგენილია ქვემოთ:

	2024	2023
მენეჯმენტის ანაზღაურება	532,922	639,132

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

მმართველობითი ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

შპს ნათს ინქორპორეიტიდ - ს.ნ. 405404922 დაარსდა 2020 წლის ივლისში.

პარტნიორები - გურამ შალუტაშვილი (33001003431), 52%

სტივენ პოდოლსკი (A00735755), 33%

ეკატერინე შველიძე (01009011593), 15%

დირექტორი - თორნიკე ლათათია (39001029223)

სავაჭრო სახელი - „ნათს ინქორპორეიტიდ“

ლოგო -



სუბიექტის განვითარების გეგმები

შპს „ნათს ინქორპორეიტიდ“ 2020 წლიდან მოღვაწეობს აგრობიზნესში და დღესდღეობით წარმოადგენს ერთ-ერთ უმსხვილეს კაკლოვანი კულტურების მწარმოებელს. კომპანია ფლობს თხილისა და ნუშის ბაღებს სამეგრელოში, ქვემო და შიდა ქართლში.

კომპანიის მისიას წარმოადგენს თხილისა და ნუშის წარმოების ინდუსტრიის განვითარების, კონკურენტუნარიანობის გაზრდის, ექსპორტისა და ურთიერთანამშრომლობის მხარდაჭერა.

სამომავლოდ იგეგმება სოფლის მეურნეობის მართვის ინოვაციური მიდგომების დანერგვა და მათი მედიაცია.

შპს ნათს ინქორპორეიტიდ-ი აწარმოებს პრემიუმ ხარისხის პროდუქციას, როგორც შიდა ბაზრისთვის, ასევე საექსპორტოდ, რაც ხელს უწყობს საერთაშორისო ბაზარზე ქართული კაკლოვანი კულტურების რეპუტაციის ზრდას.

შპს ნათს ინქორპორეიტიდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა შემდეგნაირია



კომპანიის განვითარების გეგმები

1. ასორტიმენტის განვითარება:

- ახალი პროდუქტების შერჩევა
- ახალი პროდუქტების დანერგვა
- სწორი ფასდადება

2. ხარისხიანი მომსახურების უზრუნველყოფა

- ოპერაციების შეუფერხებელი წარმოება
- მაღალი ხარისხის შენარჩუნება და უზრუნველყოფა
- ხარისხის კონტროლი

3. გაყიდვების სტიმულირება

- ბრენდის განვითარება
- ექსპორტის ზრდა
- მომხმარებლების მოზიდვა და მათთან ურთიერთობის განვითარება

კომპანიის მიერ წარმოებული კვლევისა და მისი განვითარების მიმოხილვა

კომპანიას კვლევები არ განუხორციელებია.

ინფორმაციას სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ



კომპანია მართავს თხილის ბაღებს სამეგრელოში, სადაც ახორციელებს თხილის პირველად წარმოებას. საპერაციო პროცესში შედის თხილის ბაღების მოვლა, რაც მოიცავს პრევენციულ წამლობებს, ბალახის მენეჯმენტს, მოსავლის აღებასა და სხვა აგრარულ პროცესებს.

2024 წელს კომპანიამ მიიღო ჯამში 1 800 ტონა თხილის მოსავალი, 2025 წელს კი დაგეგმილია ჯამში 2 201 ტონა მოსავლის მიღება.



აღმოსავლეთ საქართველოში ნიჩბისსა (მცხეთის რაიონი) და ახალსოფელში (გარდაბნის რაიონი) მართავს ნუშის ბაღებს, სადაც ანალოგიურ ოპერაციებს ახორციელებს. ნუშის ბაღები ზრდის სტადიაშია, 2022 წელს ნუშის ბაღებიდან მოხდა პირველი კომერციული ნიშნის მიღება.

2024 წელს კომპანიამ აიღო 390 ტონა ნუშის მოსავალი, ხოლო 2025 წელს დაგეგმილია 1 200 ტონა მოსავლის აღება.

სუბიექტის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვას და ინფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ

კომპანიის წინაშე არსებული მნიშვნელოვან რისკებს მიეკუთვნება ეროვნული ვალუტის რყევებით გამოწვეული სავალუტო რისკები, რადგან შხამ-ქიმიკატების ფასი, რომელიც კომპანიის ყველაზე მატერიალურ ხარჯს წარმოადგენს, რადგან მათი ექსპორტირება ხდება. გარდა ამისა კომპანიას ძირითადი სესხები აქვს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, სავალუტო რისკიდან მიღებული ზარალის ალბათობა საკმაოდ მაღალია. ბოლო წლებში გლობალური გამოწვევაა ინფლაცია და ფასების ზრდის მონაცემმა საქართველოს მსაგად არაერთ ქვეყანაში პროგნოზირებულს გადააჭარბა. ინფლაციის მაღალი მაჩვენებლის ძირითადი გამომწვევი მსოფლიო ბაზრებზე სურსათისა და ნავთობის მკვეთრად გაზრდილი ფასებია.

სავალუტო რისკის შესამცირებლად კომპანია ეწევა საკრედიტო პროდუქტების დივერსიფიცირებას ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში, რაც საბოლოოდ ახდენს რისკების შემცირებას. ასევე, მნიშვნელოვანია სუბსიდირებული საკრედიტო პროდუქტების პოზიტიური გავლენა. ამასთან, მყიდველებთან ხდება პროდუქციის ფასის უცხოურ ვალუტაში დაფიქსირება, რაც სავალუტო რისკებს მნიშვნელოვნად ამცირებს.

ლიკვიდობა ნებისმიერი კომპანიისთვის რისკია. ამ ეტაპზე, რადგან კომპანია წარმოადგენს სტარტაპს, დამფუძნებელი, რომელიც აშშ-ში მოღვაწეობს, ახდენს ყოველწლიურად კაპიტალის გაზრდას უცხოურ ვალუტის საშუალებით.

ასევე კომპანია დგას საბაზრო რისკების წინაშეც. გლობალურ ბაზარზე თხილის უმსხვილესი მწარმოებელი თურქეთია, რომელიც მოიცავს თხილის სრული წარმოების 80%-ს. ამასთან, აქვს მაღალი ხარისხის პროდუქცია და წლებია დომინირებს ბაზარზე. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო არ გამოირჩეოდა პრემიუმ ხარისხის პროდუქციით, ნათს ინქორპორაციის წინაშე

დგას გამოწვევა - პოპულარიზაცია გაუწიოს ქვეყანას, როგორც მაღალი ხარისხის პროდუქციის მწარმოებელი და შექმნას სტაბილური და საიმედო მომწოდებელის რეპუტაცია. ამისათვის კომპანია მუდმივად მონაწილეობს საერთაშორისო გამოფენებზე, წარადგენს პრემიუმ ხარისხის პროდუქციას და ინარჩუნებს მყიდველებთან სანდოობას და ახდენს მიწოდების დროულად უზრუნველყოფას.

კომპანია, ოპერირებს რა საბითუმო ვაჭორბის სფეროში, მყიდველებს წარმოადგენენ მსხვილი კომპანიები, ამასთან კონტრაქტების პირობების შესაბამისად ხდება საავანსო ანაზღაურება, დებიტორული დავალიანებების ამოუღებლობის რისკის წინაშე კომპანია არ დგას.

საკუთარი აქციების შეძენა

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას აქციების შეძენა არ განუხორციელებია.

ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნებისა და პოლიტიკის შესახებ

შპს „ნათს ინჟორფორეტიდი“ თავის საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობას აფინანსებს როგორც საკუთარი, ისე ფინანსური ინსტიტუტებისაგან მოზიდული სახსრებით. შესაბამისად აქვს ფინანსური რისკები ამ მიმართულებითაც. აღნიშნული რისკის მართვასთან დაკავშირებით კომპანიის პოლიტიკა არის შემდეგნაირი: სესხის საჭიროების შემთხვევაში განიხილავს იმ დროისთვის საფინანსო ბაზარზე არსებულ სიტუაციას და გადაწყვეტილებას იღებს საუკეთესო შეთავაზების სასარგებლოდ; ასევე სესხები დივერსიფიცირებულია სხვადასხვა ვალუტაში.

ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მინიმიზაციისთვის კომპანია პროდუქციის გაყიდვისთანავე ახდენს საფასურის მიღებას, რითიც ვზღუდავთ დებიტორული დავალიანების ზრდას.

კომპანიაში დანერგილია შიდა კონტროლის მექანიზმები, რითიც ვახორციელებთ გარკვეულ რისკებთან დაკავშირებულ პრევენციას და კონტროლს. კერძოდ, დანერგილია საოპერაციო და დინანსური აღრიცხვის აკადემიური მიდგომები, რის საშუალებითაც სწორად ხდება მიმდინარე ხარჯების ბიუჯეტთან შესაბამისობის კონტროლი.

კვალიფიციური კადრების შერჩევისთვის მოქმედებს სისტემა, რომელიც რამოდენიმე ეტაპადაა დაყოფილი: 1) ვაკანსიის გამოცხადება; 2) პირველადი შერჩევა CV-ს საშუალებით; 3) გასაუბრება; 4) შერჩეული კანდიდატების აყვანა 3-6 თვიანი გამოსაცდელი ვადით. მხოლოდ ამ ეტაპების გავლის შემდეგ ხდება კანდიდატი კომპანიის შტატის თანამშრომელი. არსებული პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა მუდმივად ხდება სხვადასხვა ტრენინგი/სემინარების საშუალებით. თითოეულ თანამშრომელს გაწერილი აქვს მასზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები და ანგარიშვალდებულება მის უშუალო ხელმძღვანელთან. შესაბამისად ყველა არასტანდარტული შემთხვევა თანხმდება მასთან. გარდა ამისა თანამშრომლების მოტივაციისთვის მოქმედებს საბონუსე სისტემა და სხვა სამოტივაციო საშუალებები.

დირექტორი: თორნიკე ლათათია

ფინანსური დირექტორი: ლიკა ტულუში

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე შპს „ნათს ინჟორფორეითი“-ის მფლობელებს და ხელმძღვანელობას

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საანგარიშგებო პერიოდის მმართველობითი ანგარიშის მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“)

მმართველობითი ანგარიშის მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობითი ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობითი ანგარიში და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შესაბამისობაშია მმართველობითი ანგარიში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2024 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში თუ მმართველობითი ანგარიში არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილი ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: ჯგუფის ხელმძღვანელობის და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობითი და ფინანსური ანგარიშის შედარებით და თანხვედრილობის განსაზღვრით, და იმ დოკუმენტების მიმოხილვით რაც მომზადდა იმისთვის, რომ ჯგუფი ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განგვიხორციელება რაიმე სახის მმართველობითი ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა, და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობითი ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს რაც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობითი ანგარიში არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

30 აპრილი 2025

არესემ საქართველოს სახელით

მმართველი პარტნიორი:

გორგი კვინიკაძე SARAS-A-129107

